

ფულისა და სხვა ფასეულობის გადატანა ხდება სპეციალური საინკასაციო ჩანთების მეშვეობით, რომლებიც მზადდება სპეციალური მასალისაგან, და-  
ლუქულია სპეციალური წესით და თან ახლავს სათანადო დოკუმენტები. კო-  
მერციულ ბანკში უნდა არსებობდეს დეტალური ინსტრუქცია საინკასაციო სამ-  
სახურის მუშაობის ორგანიზების შესახებ, კერძოდ, როგორ ხდება დავალების  
მიღება, გამგზავრება, საინკასაციო ჩანთებისა და თანხლები დოკუმენტების  
მიღება, ადგილზე მიტანა და ჩაბარება, უსაფრთხოების, პასუხისმგებლობის,  
კონტროლის, აღრიცხვისა და სათანადო დოკუმენტების შედგენის წესების  
ჩათვლით.

განსაკუთრებული მოთხოვნაა კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში  
ან საქართველოს ეროვნული ბანკიდან განხორციელებული ნაღდი ფულისა და  
ფასეულობის ინკასირებისადმი. ამ დროს კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს  
წერილობითი ფორმით წინასწარ უგზავნის ინფორმაციას ინკასაციის განმა-  
ხორციელებელი უფლებამოსილი პირებისა და ავტომანქანების შესახებ.

## საკონტროლო კითხვები:

1. როგორ დაახასიათებდით საკასო ოპერაციების მნიშვნელობას ბანკებისათვის თანამედროვე პირობებში?
2. რა არის საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციების არსი?
3. როგორ განმარტავდით კომერციული ბანკის საკასო ოპერაციებს?
4. რომლებია კომერციული ბანკის სალაროს მეურნეობის ორგანიზების უმნიშვნელოვანესი ელემენტები?
5. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის სალაროს კვანძი და რას მოიცავს იგი?
6. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის ფასეულობათა საცავი?
7. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კომერციული ბანკის ჩვეულებრივი სალარო?
8. როგორია საქართველოს ბანკებში ნაღდი ფულისა და ფასეულობათა აღრიცხვის წესი?
9. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის კვანძგარეთა საოპერაციო სალარო?
10. როგორია მოლარის მიერ დღის განმავლობაში ფულის მიღებისა და ჩაბარების წესი?

11. რა შეგიძლიათ თქვით ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის აღრიცხვის წიგნსა და სხვა დოკუმენტებზე?
12. რა ხდება სალაროში არსებულ ფულის (ფასეულობის) ნაშთსა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის სხვაობის თუ ზედმეტობის აღმოჩენის შემთხვევაში?
13. რას გულისხმობს სალაროს მეურნეობის სისტემატური კონტროლი და მონიტორინგი?
14. რა ხდება სალაროს შემონმების შედეგად გამოვლენილი დანაკლისის ან ზედმეტობის აღმოჩენის დროს?
15. რა შეზღუდვები უნესდებათ ბანკის სალაროს მუშაკებს (მოლარეები) და რა ვალდებულებები აკისრიათ მათ?
16. რას უზრუნველყოფს ფულადი ნაშთების ბრუნვის პროგნოზირება?
17. რა არის კომერციული ბანკების მთავარი ამოცანა საკასო ბრუნვების პროგნოზირებისას და როგორ ხორციელდება იგი?
18. რას ნიშნავს ტერმინები „დღის სალარო“ და „საღამოს სალარო“?
19. როგორია ბანკის სალაროში ნაღდი ფულის მიღების წესი?
20. რა შეგიძლიათ თქვით სალაროს შემოსავლის ორდერის შესახებ?
21. როგორია საბანკო ქსელში მოხვედრილი საექვო ფულის ნამდვილობის დადგენის მექანიზმი?
22. როგორია ბანკის სალაროდან ნაღდი ფულის გაცემის წესი?
23. რა შეგიძლიათ თქვით სალაროს გასავლის ორდერის შესახებ?
24. რას გულისხმობს ნაღდი ფულის ფორმირებისას გამოყენებული ტერმინები „ნეკნი“ და „კონა“?
25. რა შეგიძლიათ თქვით ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირების წესზე საქართველოში მოქმედ ბანკებში?
26. რა აუცილებელი რეკვიზიტები მიეთითება ბანკნოტების კონებისა და მონეტების პაკეტის ეტიკეტზე?
27. რას ნიშნავს სიტყვა „ინკასაცია“ და რას გულისხმობს იგი ჩვენს შემთხვევაში?
28. რას გულისხმობს ტერმინი „სალაროს გამაგრება“ და რა მოიაზრება ამ პროცესში?
29. რა მოტივაციები ამოძრავებს კომერციული ბანკის მენეჯმენტს საკუთარი საინკასაციო სამსახურის შექმნისას?
30. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ბანკების მიერ შექმნილი საინკასაციო სამსახურები?